



**კოალიცია “დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის”
ეხმიანება საქართველოს პრემიერ მინისტრის, ზიძინა ივანიშვილისა და
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კონსტანტინე
კუბლაშვილის შეხვედრას.**

კოალიცია “დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის” ეხმიანება საქართველოს პრემიერ მინისტრის, ბატონი ზიძინა ივანიშვილისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ბატონი კოტე კუბლაშვილის შეხვედრას. ჩვენ დადებითად ვაფასებთ აღნიშნული შეხვედრის ჩატარების ფაქტს და ვფიქრობთ, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოში დამოუკიდებელი და ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

მიგვაჩნია, რომ მსგავსი შეხვედრა იყო საჭირო და აუცილებელი ნაბიჯი ქვეყანაში სამართლებრივი რეფორმების მშვიდად განხორციელებისათვის. ასევე ვთვლით, რომ ამ პროცესში აუცილებელია სასამართლოს მაქსიმალური ჩართულობა, რათა რეფორმა ეფექტიანად განვითარდეს. ვთვლით, რომ სასამართლოს სისტემის რეფორმირება არ უნდა მიმდინარეობდეს კონფლიქტურ გარემოში და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გარეშე, რადგან საზოგადოების უმთავრესი ინტერესი სწორედ მიუკერძოებელი, ეფექტიანი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებაა.

კოალიცია “დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის” ადრეც საუბრობდა კონსტრუქციული თანამშრომლობის აუცილებლობაზე. ამიტომაც, მივესალმებით ორივე მხარის განცხადებას სასამართლო რეფორმის მნიშვნელობაზე, ასევე იმ ფაქტს, რომ საკითხთა უმრავლესაბაზე მხარეთა თანხმობა არსებობს, რაც მნიშვნელოვანი სიგნალია ვენეციის კომისიისთვისაც, იმის გათვალისწინებით რომ მან უახლოს პერიოდში საზოგადოებას სასამართლოს რეფორმირების მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტის მიმართებაში საკუთარი რეკომენდაციები უნდა წარუდგინოს.

მიგვაჩნია, რომ დღეს მხარეებმა იმოქმედეს საზოგადოებისა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცესი მომავალშიც გაგრძელდეს. კოალიცია “დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის” თავის მხრივ იმედოვნებს, რომ აქტიურად ჩაერთვება ყველა იმ ინიციატივასა და პროცესში, რომელიც ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას და ქვეყანაში სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას.

დავით ასათიანი

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისათვის თავმჯდომარე

კახა კოჭორიძე

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისათვის თავმჯდომარის მოადგილე

კოალიციის წევრები:

კონსტიტუციის 42-ე მუხლი
მრავალეროვანი საქართველო
სოლიდარობა უკანონო
პატიმრებს
საქართველოს მცირე და
საშუალო საწარმოთა
ასოციაცია
სამოქალაქო ინტეგრაციის
ფონდი
საქართველოს ადვოკატები
დამოუკიდებელი
პროფესიისათვის
ლიბერალი
კონსტიტუციური უფლებების
დაცვის ცენტრი
სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება
ასოციაცია მწვანე ტალღა
კავშირი “21-ე საუკუნე”
საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაცია
ადამიანის უფლებათა ცენტრი
საერთაშორისო
გამჭვირვალობა საქართველო
დემოკრატ მესხთა კავშირი
თავისუფლების ინსტიტუტი
საქართველოს ადვოკატთა
ასოციაცია
სამოქალაქო განვითარების
სააგენტო
საქართველოს გაეროს
ასოციაცია
ევროპის იურისტ
სტუდენტთა ასოციაცია
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი
ფონდი ღია საზოგადოება
საქართველო
დემოკრატიის ინსტიტუტი
ამერიკის სავაჭრო პალატა
სამოქალაქო ინიციატივების
და დასაქმებულთა დაცვის
ასოციაცია
ევრაზიის თანამშრომლობის
ფონდი
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი
ადამიანის უფლებათა
პრიორიტეტი
თბილისის მედია კლუბი
ადამიანის უფლებების
სწავლებისა და
მონიტორინგის ცენტრი